თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი 17 აპრილი, 2010

სხდომა №6
სხდომის ოქმი №6/2010

**სხდომას ესწრებოდნენ:**

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე,
2. პროფესორი კახი ყურაშვილი,
3. პროფესორი ოლეგ ეჯიბაძე,
4. ასოცირებული პროფესორი ოლღა ქავთარია,
5. ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე,
6. პროფესორი მაკა სალხინაშვილი,
7. პროფესორი მურმან ცარციძე,
8. პროფესორი ნინო ორმოცაძე,
9. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონსულტანტი, ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა

**სხდმოის თავმჯდომარე:** ვალენტინა საყვარელიძე
**სხდომის მდივანი:** კახი ყურაშვილი

**დღის წესრიგი:**

თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად თჰუ წარმომადგენლობითი საბჭოსათვის დასამტკიცებლად თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის - მაკა კაჭარავას წარდგენისა და გია თოფურიასათვის უფლებამოსილებათა მოხსნის თაობაზე (მომხ. პროფ.კ. ყურაშვილი)

**მოისმინეს:** პროფესორ კახი ყურაშვილის მოხსენება თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანანმდებობიდან პროფესორ გია თოფურიას გათავისუფლებისა და ასოცირებული პროფესორის მაკა კაჭარავას კანდიდატურის თჰუ სენატისათვის (წარმომადგენლობითი საბჭოსათვის) დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ბატონი გია დაკავებულობის გამო ვერ იცლის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებით დაკავდეს, რის გამოც მასთან შეთანხმებით შეირჩა თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის მაკა კაჭარავას კანდიდატურა. მომხსენებელმა აუდიტორიას აღნიშნული თანანმდებობაზე წარუდგინა თჰუ ასოცირებული პროფესორის მაკა კაჭარავას კანდიდატურა, რომელიც თანახმაა დაიკაოს ზემოაღნიშნული საპასუხისმგებლო თანამდებობა. წაკითხულ იქნა მ. კაჭარავას ავტობიოგრაფია.

**აზრი გამოთქვეს:** ვ. საყვარელიძემ, ო. ქავთარიამ. ი. საყვარელიძემ, რომლებმაც დადებითად დაახასიათეს მ. კაჭარავა და მხარი დაუჭირეს მის კანდიდატურას ხარისხის უზრუნველყოფის სამახურის უფროსის თანანმდებობაზე.

**გადაწყვიტეს:** წარედგინოს თჰუ წარმომადგენლობით საბჭოს თჰუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დასამტკიცებლად თჰუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მაკა კაჭარავა.

თჰუ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე: ვ. საყვარელიძე

თჰუ აკადემიური საბჭოს მდივანი: კ. ყურაშვილი

17.04.2010